

საიმპლემენტაციო შეთანხმება

საქართველოს

და

ნაგო-ს მომარაგებისა და მაგერიალურ-გექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციას

(NAMSU)

შორის

„საქართველოში უმართავი რაკეტების

დემილიტარიზაციის შესახებ“

პრეამბულა

საქართველოს და ნაგო-ს მომარაგებისა და მაგერიალურ-გექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაცია (NAMSU) (შემდეგ – „მხარეები“);

ეყრდნობიან რა ნაგო-ს მაგერიალურ-გექნიკური უზრუნველყოფისა და მომარაგების ორგანიზაციასა და საქართველოს შორის 2002 წლის პირველ ოქტომბერს ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის „მაგერიალურ-გექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2.1 მუხლს;

სურთ რა საიმპლემენტაციო შეთანხმების დადება უმართავი რაკეტების დემილიტარიზაციის შესახებ საქართველოში „პარგნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) ნდობის ფონდის პროექტების მიხედვით;

სურთ რა მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა იმ ვადით, სანამ ნაგო-ს მომარაგებისა და მაგერიალურ-გექნიკური უზრუნველყოფის სააგენტო (NAMSU) განხორციელებს პროექტს უმართავი რაკეტების დემილიტარიზაციის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

1.1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, გამოიყენება შემდეგი განსაზღვრებები:

- „პროექტი“ ნიშნავს ნაგო-ს მომარაგებისა და მაგერიალურ-გექნიკური უზრუნველყოფის სააგენტოს (NAMSU) მიერ განხორციელებულ რაკეტების დემილიტარიზაციის პროექტს საქართველოში;

* შენიშვნა: ეს საიმპლემენტაციო შეთანხმება ემაგება და ეკლის 2005 წლის 13 ივნისს ხელმოწერილ საიმპლემენტაციო შეთანხმებას (დანართი C).

- „*NAMSA-ს პერსონალი*“ ნიშნავს სამხედრო, სამოქალაქო და კონტრაქტორ პერსონალს (ადგილობრივი პერსონალის გარდა), რომელიც დანიშნულია ან ძოვლინებულია NAMSA-ს მიერ ან დაქირავებულია მის მიერ;
 - „*კონტრაქტორი პერსონალი*“ ნიშნავს გენიკური დარგის სპეციალისტებს ან ოპერატორებს (ადგილობრივი პერსონალის გარდა), რომელთა მომსახურება ესაჭიროება NAMSA-ს და რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ NAMSA-სთვის მომსახურების გაწევის მიზნით, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გენიკურ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევაში, აპარატურის ინსტალირებაში, ექსპლოატაციასა და შეკეთებაში, ან სხვა მომსახურების გაწევაში;
 - „*ადგილობრივი პერსონალი*“ ნიშნავს საქართველოს მოქალაქეებს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს;
12. აღნიშნული შეთანხმების განხორციელების მიზნით, NAMSO წარმოდგენილია ნაგოს მომარაგებისა და მაგერიალურ-გენიკური უზრუნველყოფის სააგენტოს (NAMSA) მიერ.

მუხლი 2.

- 2.1. NAMSA იქნება აღნიშნული პროექტის აღმასრულებელი ორგანო.
- 2.2. ლიგვა, ლაგვია და ესტონეთი იმოქმედებენ როგორც საქართველოში უმართავი რაკეტების დემილიტარიზაციის პროექტის განხორციელებაში პასუხისმგებელი მთავარი სახელმწიფოები.
- 2.3. NAMSA პასუხისმგებელი იქნება მთავარი სახელმწიფოების მიერ პროექტის განხორციელებაზე.

მუხლი 3.

- 3.1. პროექტის მენეჯმენტი განხორციელდება იმ დირექტივების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება ნაგოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნდობის ფონდზე.
- 3.2. NAMSA დადებს კონტრაქტებს საქართველოში არსებულ გენიკურად სათანადოდ გამართულ ორგანიზაციასთან, ვარციხის ყოფილ საავიაციო საბრძოლო მასალების ბაზაზე განლაგებული S-8 ჰაერი-მიწა ტიპის უმართავი რაკეტებისა და დედოფლისწყაროს სამხედრო ბაზაზე განლაგებული სეგყვის საწინააღმდეგო რაკეტების (სახელწოდებით „ალაზანი“ და „კრისტალი“) დემილიტარიზაციის მიზნით. NAMSA უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას გენიკურად სათანადოდ გამართული ორგანიზაციის აღჭურვისა და ეკიპირების მიზნით, სპეციფიკური დანადგარებისა და აპარატურის ჩათვლით. პროექტი ხელს შეუწყობს ქართული რესურსების განვითარებას ფეთქებადი საბრძოლო მასალების დემილიტარიზაციისთვის.
- 3.3. საქართველოს მონაწილეობა პროექტში გამოიხატება იმით, რომ იგი უზრუნველყოფს გრანსპორტირებას (მუშა-ხელისა და საწვავის ჩათვლით) რაკეტების, უმართავი რაკეტებისა და მათი ნაწილების გადასატანად ფონიჭალასა და ვაზიანში. საქართველო ასევე პასუხისმგებელი იქნება დემილიტარიზაციის პუნქტამდე გრანსპორტირების პერიოდში რაკეტებისა და უმართავი რაკეტების საერთო უსაფრთხოებასა და დემილიტარიზაციის პუნქტის მაგერიალურ უსაფრთხოებაზე. საქართველო წარადგენს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების

მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან NAMSA-სთან თანამშრომლობასა და პროექტში საქართველოს მონაწილეობის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 4.

4.1. გარდა იმისა, რომ „ჩრდილო-აღმოსავლური ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებსა და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტაგუსის შესახებ“ 1995 წლის 19 ივნისის ხელმოწერილი შეთანხმების (რაგიფიცირებული 1997 წლის 1 მაისს) დებულებები შესაძლოა გავრცელდეს ყველა სახის სამხედრო, სამოქალაქო და კონგრატული პერსონალზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნდობის ფონდის ფარგლებში დემილიტარიზაციის პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველო და NAMSO თანხმებიან შემდეგ დამატებით დებულებებზე.

4.2. ამ შეთანხმებით განსაზღვრული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუზღუდავად, NAMSA-ს ყველა სახის პერსონალი დაიცავს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, რამდენადაც ამ კანონმდებლობის შესრულება წინააღმდეგობაში არ მოდის მის ფუნქციებთან/ მანდატთან; ისინი თავს შეიკავენ ისეთი საქმიანობის განხორციელებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ფუნქციებს/მანდატს.

4.3. NAMSA-ს პერსონალი სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით ყველა სახის სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის პროცესისაგან, რომელიც შეიძლება აღიძვრას საქართველოს ტერიტორიაზე მათ მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებასა თუ უსაქმიანობასთან დაკავშირებით. სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის თუ დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენისათვის საქართველოში NAMSA-ს პერსონალი ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ დროს ექვემდებარება მხოლოდ თავის ეროვნულ იურისდიქციას.

4.4. NAMSA-ს პერსონალი სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით საქართველოს უსაქმიანობის მიერ ნებისმიერი ურთიმო დაკავების, დაპატიმრებისა ან გარდასახვისა და დაკავებული ან დაპატიმრებული NAMSA-ს პერსონალი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს NAMSA-ს ორგანოს.

4.5. NAMSA-ს პერსონალი, თავის საგრანსპორტო საშუალებებთან ერთად, სარგებლობს საქართველოს ტერიტორიაზე (მოიცავს მხოლოდ იმ ტერიტორიებს რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია) შეუზღუდავი გადაადგილებისა და დაუბრკოლებელი შესვლის უფლებით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

4.6. NAMSA-ს და ადგილობრივი პერსონალის მიერ NAMSA-დან მიღებული ხელფასები და ანაზღაურება, ასევე მის მიერ საქართველოს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი საქართველოში არ იბეგრება.

4.7. NAMSA-ს პერსონალი და მის მიერ საქართველოში იმპორტირებული, შექმნილი ან საქართველოდან ექსპორტირებული მაგერიალური მოძრავი ქონება თავისუფლდება საქართველოში მოქმედი ყველა სახის გადასახადის, ბაჟისა და მოსაკრებლისაგან, ასევე ანსპექტირებისა და საბაჟო პროცედურებისაგან.

4.8. NAMSA სარგებლობს პირდაპირი კონტრაქტების გაუორმების უფლებით ნებისმიერი წყაროდან საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეთი კონტრაქტები, საქონელი, მომსახურება, გრანტი

და სამშენებლო სამუშაოები არ ექვემდებარება დაბეგვრას რაიმე სახის გადასახადით, ბაჟით ან მოსაკრებლით.

49. NAMSА-ს შეუძლია დაიჭიროოს ადგილობრივი პერსონალი, რომელმაც, ინდივიდუალურ საფუძველზე, გავრცელდება ადგილობრივი კანონები და ნორმები, გარდა შრომითი კანონმდებლობისა. ამასთან, ეს პერსონალი სარგებლობს იმუნიტეტით სასამართლო პროცესისგან მის მიერ ოფიციალური ფუნქციების შესრულების დროს წარმოთქმულ ან დაწერილ სიყვებთან და განხორციელებულ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, პერსონალი ექვემდებარება მხოლოდ NAMSА-ს მიერ დადგენილ სამუშაო პირობებსა და ვადებს NAMSА-სთან შრომითი ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

მუხლი 5.


5.1. ამ შეთანხმების დებულებები ძალაშია NAMSА-ს მიერ საქართველოში უმართავე რაკეტების დემოლიტარიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის დასრულებამდე.

5.2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის საქართველოს მიერ რატიფიკაციის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.

5.3. შესრულებულია ქ-----, 200- წლის --- ---, ორ პირად, თითოეულ ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. სამივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ნატო-ს მომარაგებისა და ჰაგერიალურ-
ფარმაცეუტიკული უზრუნველყოფის ორგანიზაციის
სახელით:


კ. პ. მიუნცერი
გენერალური მენეჯერი



თარიღი:
3. 1. 2008

საქართველოს სახელით:

რევაზ ბეშიძე
ელჩი, ნატო-ში საქართველოს
მისიის ხელმძღვანელი



თარიღი: 08. 01. 2008

-d-